ჩემპიონატი

„დინამოს“ გამარჯვება

კიევი. (ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). 16 ივნისს **თბილისის „დინამოს“** ფეხბურთელები თამაშობდნენ **კიევის „დინამოსთან“.** მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ გაგუასა და ხარბედიას. ჯორჯიკია და პანიუკოვი თამაშობდნენ მარცხენა ფრთაზე, ხოლო ბერეჟნოი მარჯვენა ნახევარშუამარბად. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ – 2:0. პაიჭაძის მიერ მოწოდებული ბურთები გაიტანეს ჯორჯიკიამ და ბერეჟნოიმ. ბერძენიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი. მეორე ტაიმში კვლავ პაიჭაძის ზუსტი გადაცემით მიღებული ბურთი ჯეჯელავამ მოათავსა მოწინააღმდეგეთა ბადეში. მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით – 3:0.

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 17 ივნისი, 1940 წ.